გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრის გიორგი სოსიაშვილის

ანგარიში

გაწეული საქმიანობის შესახებ

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე

მოგახსენებთ, 2021 წლის 03 დეკემბრიდან ვარ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროპორციული სიით არჩეული საკრებულოს წევრი და შესაბამისად ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" წევრი, საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის კომისიის წევრი. მიმდინარე პერიოდში დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 277 საკითხის განხილვაში.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" 3 სხდომას და მონაწილეობა მივიღე -24 საკითხის განხილვაში.

დავესწარი საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის - 6 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 10 საკითხი და საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის- 9 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 67 საკითხი.

2022-2023 წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

1. ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარების და უფასო მედიკამენტებზე გამოყოფილი თანხის ზრდა ბიუჯეტში.
2. სტუდენტებზე და პედაგოგებზე შეღავათის დაწესება მუნიციაპალურ ტრანსპორტზედა ასევე გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით;
3. სოფ.დიცში, ცხინვალის გზის მონაკვეთის მოასფალტებისთვის თანხის გამოყოფა.
4. სოფ. დიცის ცენტრში საბავშვო სკვერის მოწყობა.
5. სოფ. არბოსა და ქორდში მდინარე ლიახვის სანაპიროს დასუფთავებისთვის თანხის ასახვა ბიუჯეტში.
6. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის მსურველი სტუდენტების მგზავრობის თანადაფინანსების თანხის გაზრდა.
7. სტუდენტური და ახალგაზრდული ბანაკისთვის თანხის გაზრდა.
8. სოფ. დიცი,ქორდი, მერეთი, კარბში და არბოში ახალგაზრდული ცენტრების მოწყობა.

9. საზღვრისპირა სოფლებში სკოლამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება.
10. მწერლების შემოქმედებითი პროექტებისთვის თანხის გამოყოფა ბიუჯეტში.
11. ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება.
12. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ყოველთვიური გასართობი ღონისძიებების დაგეგმვა.
13. სოფელ ქვემო ნიქოზში არქეოლოგიური გათხრების და მუზეუმის მოსაწყობად თანადაფინანსება ბიუჯეტიდან.
14. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის თანადაფინანსება.
15. სასკოლო, საგნობრივი ოლიმპიადისთვის თანხის გამოყოფა ბიუჯეტში.
16. სასკოლო ოლიმპიადების მოწყობა;
17. მუნიციპალიტეტის განვითარების პროგრამა - ინიციატივის ფარგლებში გამოიყოფა თანხა 20 000ლარის ოდენობითპროფესორ მასწავლებელთათვის, სტუდენტებისთვის, მუნიციპალიტეტის სკოლის მასწავლებელთა და სკოლის მოსწავლეთათვის, რომელიც მოხმარდება მათ ინიციატივების განხორციელებას, რომელიც მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.
18. „საზაფხულო დასაქმების პროგრამა“ - რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის აიპებში ერთი თვის ვადით დასაქმდებიან სტუდენტები, ანაზღაურებით 600ლარი.

19. „განახევრებული აბონიმენტები თეატრა და მუზეუმებში“ - აღნიშნული ინიციატივის შეღავათიანი ტარიფი გავრცელდება მოსახლეობის იმ კატეგორიაზე, რომელიც სარგებელს მიიღებს „შეღავათიანი სატრანსპორტო სისტემის“ მოდულით.

20.„საზაფხულო ბანაკი“ - მოიცავს მუნიციპალიტეტის საჯარო/კერძო სკოლების X; XI და XII კლასელებს და უნივერსიტეტის სტუდენტებს.

21. პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტით მომსახურების დაფინანსების საკითხი.

22. საკითხი წარჩინებული სტუდენტების დაფინანსების თაობაზე.

23. სოფელ დიცის შიდა საუბნო გზების შეკეთება.
24. სტუდენტთა დასაქმების პროგრამის შექმნა.
25. საზაფხულო ბანაკები და ახალგაზრდებისთვის დასაქმების პორტალის შექმნა.
26. წარჩინებული სტუდენტების დაფინანსება.
27. სოფელ დიცში სარწყავი წყლის პრობლემის მოგვარება.
28. სოფელ ტინისხიდში მოსაცდელის კონსტრუქციის დამონტაჟების საკითხი და სასმელი წყლის პრობლემა.
29. სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და პედაგოგებისათვის შეღავათიანი ტარიფით ტრანსპორტირება.
30. მწერალთა სახლის განვითარების ხელშეწყობა.
31. ცხინვალის გზატკეცილი N19 - ეზოს მოასფალტება, სანაგვე ურნების დამატება, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე არხის (რუს) გაწმენდა.
32. სოფელ დიცში მდინარის კალაპოტის ამოწმენდა.
33. ტინისხიდის საჯარო სკოლისთვის და სადგურის დასახლებაში არსებული ქარხნის ქუჩისთვის იოსებ ალიმბარაშვილის სახელის მინიჭება.

34. ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება.
35. ახალგაზრდული სტარტაპების დაფინანსება
36. ახალგაზრდული ბანაკების გაფართოება.

აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, ვიყავი გენდერული საბჭოს წევრი, მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა პერიოდულად ვაყენებ ინიციატივებს საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სახელით.

აღნიშნული პრობლემების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი სოსიაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2023 წლის 19 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: გიორგი სოსიაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ინგა ტარიელაშვილი;

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის გიორგი სოსიაშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი გიორგი სოსიაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს გიორგი სოსიაშვილს , რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის

მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა გიორგი სოსიაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ქეთევან ტერაშვილმა, მარინე ორჯონიკიძემ და ნინო გოლოშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე თამარ მურალოვა

საკრებულოს წევრი გიორგი სოსიაშვილი